

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და
ქონების მართვის სამსახურის

2015 წლის ანგარიში

1. ინფრასტრუქტურის განყოფილება

2015 წლის განმავლობაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის 12.03.2015 წლის #506 განკარგულებით გამოყოფილია 1 342 237 ლარი. ამ პროგრამის ფარგლებში მომზადებულია 252 პროექტი.

დასრულებულია ყველა პროექტი, და ათვისებულია 1 342 222 ლარი.

აღნიშნული პროექტებით შესრულდა:

- 3 სოფელში ადმინისტრაციული შენობის (ასკანა, დვაბზუ, სოფ.ოზურგეთი), 1 სოფელში კლუბის (მთისპირი), 5 სოფელში ამბულატორიის (ლაითური, ლიხაური, მერია, დვაბზუ, შრომა), 1 სოფელში ბიბლიოთეკის (მთისპირი) სარემონტო სამუშაო;
- 16 სოფელში საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაო და სხვადასხვა ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა (ლაითური, ნასაკირალი, ასკანა, ბაილეთი, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, თხინვალი, მაკვანეთი, მთისპირი, მერია, ნაგომარი, სოფ.ოზურგეთი, ჯუმათი, შრომა)
- არხების გათხრა-გაწმენდის სამუშაოები 9 სოფელში (ურეკი, ბაილეთი, ბახვი, კონჭკათი, ლიხაური, მერია, ნატანები, სილაური, შემოქმედი);
- ბეტონის გზების მოწყობა და ასფალტობეტონით ორმოული შეკეთება 10 სოფელში (ნასაკირალი, ბოხვაური, კონჭკათი, მაკვანეთი, მერია, მთისპირი, ნაგომარი, ნატანები, ჯუმათი, შრომა);
- მოიხრემა და დაგრეიდერდა გზები 6 სოფელში (ასკანა, ბაილეთი, ბახვი, თხინვალი, ლიხაური, მერა)
- მოეწყო გარე განათების 1000-მდე ლამპიონი 16 სოფელში (ლაითური, ნარუჯა, ნასაკირალი, ურეკი, ბაილეთი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, ლიხაური, მაკვანეთი, მელექედური, ნატანები, სოფ.ოზურგეთი, ცხემლისხიდი, ჭანიეთი, ჯუმათი);
- 7 სოფელში მოეწყო მილხიდები (ბაილეთი, ბახვი, დვაბზუ, ლიხაური, სილაური, შემოქმედი, შრომა);
- 6 სოფელში მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი (ნარუჯა, ნასაკირალი, ბაილეთი, დვაბზუ, მელექედური, შრომა);

- 1 სოფელში (მელექედური) შეძენილ იქნა სასაფლაოს მიწა, 5 სოფელში მოხდა სასაფლაოს შემოღობვა, სათავსის აშენება (ნასაკირალი, ბაილეთი, ბახვი, შრომა, ჭანიეთი);
- 6 სოფელში მოხდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, შემოღობვა (ნარუჯა, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, მაკვანეთი, ჯუმათი);
- 8 სოფელში მოხდა ცენტრის (მემორიალები, სკვერები, ატრაქციონები) კეთილმოწყობა (ურეკი, ბაილეთი, დვაბზუ, მაკვანეთი, ნატანები, შემოქმედი, ცხემლისხიდი, ჭანიეთი);
- 14 სოფელში მოხდა წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისათვის სამუშაოების წარმოება და მასალების შესყიდვა (ნასაკირალი, ურეკი, ბაილეთი, ბახვი, დვაბზუ, ვაკიჯვარი, თხინვალი, კონჭკათი, ლიხაური, მთისპირი, სილაური, ცხემლისხიდი, ძიმითი, ჭანიეთი).

საქართველოს მთავრობის 15.05.2015 წლის #971 და 2013 წლის 4 აპრილის #311 განკარგულებებით გამოიყო 1 387 717 ლარი ლაითური-მერიის შემაერთებელი 150 მ სიგრძის ხიდის რეაბილიტაციისათვის. ხიდის მშენებლობა დაწყებულია 2013 წელს და დასრულდა 2015 წელს. 2015 წელს ათვისებულ იქნა **1 384 115** ლარი. სულ 2013-2015 წწ ხიდის მშენებლობაზე დაიხარჯა 2 527 897 ლარი.

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „უნივერსალი“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 08,06,2015-9,12,2015

ბენეფიციართა რაოდენობა: 10 000 კაცი

2015 წლისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 20.01.2015 წლის #39 განკარგულებით გამოყოფილია **4 538 827** ლარი:

ამ თანხებიდან მოხდა:

1. მერიის თემი-კონჭკათის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (3,2 კმ. გზა ასფალტობეტონის საფარით და 1,5კმ. ხრეშოვანი გზა). მშენებლობაზე გაწეული ფაქტიური დანახარჯი შეადგენს **1 487 656** ლარს.

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „პირამიდა ფრ“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 12,03,2015-21,12,2015

ბენეფიციართა რაოდენობა: 5800 კაცი

2. ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის და დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის შემაერთებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მეორე ეტაპი, სიგრძით 1,255 კმ.

გზის პროექტირებაზე გახარჯულია -2 000 ლარი
მშენებლობაზე გახარჯულია -304 999 ლარი
სულ: 306 999 ლარი
სამუშაოს შემსრულებელი: შპს „სამკუთხედი“
სამუშაოს განხორციელების ვადები: 28,05,2015-12,07,2015
ბენეფიციართა რაოდენობა: 10 000 კაცი

3. მელექედური-დვაბზუს საავტომობილო გზის 2,550 კილომეტრის რეაბილიტაცია.

გზის პროექტირებაზე გახარჯულია -2 500 ლარი
მშენებლობაზე გახარჯულია -658 612 ლარი
სულ: 661 112 ლარი
სამუშაოს შემსრულებელი: შპს „გზამშენი 18“
სამუშაოს განხორციელების ვადები: 29,05,2015-24,09,2015
ბენეფიციართა რაოდენობა: 5 500 კაცი

4. სოფ.სილაურის ადმინისტრაციული შენობის აღდგენა- შეკეთება.

პროექტირებაზე გახარჯულია -2 189 ლარი
მშენებლობაზე გახარჯულია -91 500 ლარი
სულ: 93 689 ლარი
სამუშაოს შემსრულებელი: შპს „მეგა 8“
სამუშაოს განხორციელების ვადები: 09,06,2015-2,09,2015
ბენეფიციართა რაოდენობა: 1 200 კაცი

5. სოფელ მერიაში უსახლკართო მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია. თავშესაფრით დაკმაყოფილდება 90 ოჯახი.

შენობის მდგრადობის ექსპერტიზაზე გახარჯულია-10 000 ლარი
პროექტირებაზე გახარჯულია -8 899 ლარი
მშენებლობაზე გახარჯულია -723 979 ლარი (აქედან 600 000 ლარი #39 განკარგულებით, ხოლო 123 979 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით)
სულ: 742 878 ლარი
სამუშაოს შემსრულებელი: შპს „ატომბუდნაგლიადი“
სამუშაოს განხორციელების ვადები: 07,09,2015-15,01,2016
ბენეფიციართა რაოდენობა: 300 კაცი

6. კურორტ გომის მთის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (პროექტირება)
პროექტირებაზე გახარჯულია-2 000 ლარი

პროექტის ექსპერტიზაზე გახარჯულია-**500** ლარი

სულ: **2 500** ლარი

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „არქდიზაიმშენი“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 25,02,2015-15,10,2015

ბენეფიციართა რაოდენობა: 1800 კაცი (მშენებლობის დასრულების შემდეგ)

7. სოფელ ჯუმათის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

პროექტირებაზე გახარჯულია-**7 000** ლარი

პროექტის ექსპერტიზაზე გახარჯულია-**8 061** ლარი

სამშენებლო სამუშაოებზე -**350 000** ლარი

სულ: **365 061** ლარი

სისტემის მშენებლობა დასრულდება 2016 წელს. სამშენებლო სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1 511 900 ლარს.

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „ბილდინგ დეველოპერი“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 21,10,2015-1,11,2016

ბენეფიციართა რაოდენობა: 1370 კაცი

8. ასკანა-მშვიდობაური-ბახვის დამაკავშირებელი 7 კმ გზის პროექტირება.

პროექტირებაზე გახარჯულია-**34 999** ლარი.

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „საქგზამეცნიერება“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 25,02,2015-16,04,2015

ბენეფიციართა რაოდენობა: 1370 კაცი (მშენებლობის დასრულების შემდეგ)

9. ცხემლისხიდის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პროექტირებაზე გახარჯულია -**6 770** ლარი

მშენებლობაზე გაიხარჯა -**117 755** ლარი

სულ: **124 525** ლარი

მშენებლობა დასრულდება 2016 წელს. სამშენებლო სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 398 885 ლარს.

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „ვიგორა“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 27.10.2015-1.06.2016

ბენეფიციართა რაოდენობა: 160 კაცი (მშენებლობის დასრულების შემდეგ)

10. ჭანიეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პროექტირებაზე გახარჯულია -**7 090** ლარი

მშენებლობაზე გახარჯულია -**318 222** ლარი

სულ: **325 312** ლარი

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „მთაწმინდა 2007“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 06,08.2015-15,03,2016

ბენეფიციართა რაოდენობა: 160 კაცი (მშენებლობის დასრულების შემდეგ)

მშენებლობა დასრულდება 2016 წელს. სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 397 777 ლარს.

11. ბახვის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პროექტირებაზე გახარჯულია -**6 770** ლარი

მშენებლობაზე გახარჯულია -**252 045** ლარი

სულ: **258 815** ლარი

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „მთაწმინდა 2007“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 21,10.2015-01,06,2016

ბენეფიციართა რაოდენობა: 200 კაცი (მშენებლობის დასრულების შემდეგ)

მშენებლობა დასრულდება 2016 წელს. სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 395 777 ლარს.

12. ურეკში (წვერმაღალა) სტადიონის მშენებლობა.

პროექტირებაზე გახარჯულია -**1 450** ლარი

მშენებლობაზე გახარჯულია -**48 048** ლარი

სულ: **49 498** ლარი

სამუშაოს შემსრულებელი: შპს „ჭედა 2012“

სამუშაოს განხორციელების ვადები: 29,06.2015-13,08,2016

ბენეფიციართა რაოდენობა: 950 კაცი

2014 წლის 24-29 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებებისათვის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #2551 განკარგულებით გამოყოფილია 1 290 000 ლარი. ამ თანხით:

- დარიგებულია 56851 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა სტიქიით დაზარალებულ 28 ოჯახზე.
- დასრულებულია შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ.ბჟუჟის გასწორხაზოვნების სამუშაო -ღირებულებით 157078 ლარი.

- დასრულებულია სოფ. დვაბზუში მდ. ნატანების კალაპოტის გასწორხაზოვნების და გაბიონის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 169249 ლარი.
- დასრულებულია სოფ. ცხემლისხიდში მდ. ნატანების გასწორხაზოვნების, გაბიონების მოწყობისა და მდინარის სათავის რეაბილიტაცია - ღირებულებით 717673 ლარი.
- დასრულებულია სოფ. ოზურგეთში, ყოფილ ფერმასთან, მდ. ნატანების კალაპოტის გასწორხაზოვნება-ღირებულებით 133 310 ლარი.
- დასრულებულია სოფ. ჯუმათში, მდ. სუფსის კალაპოტის გასწორხაზოვნება-ღირებულებით 59 721 ლარი.

2014 წლის 24-29 სექტემბრის და 2-3 ნოემბრის სტიქიების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის #1381 განკარგულებით გამოყოფილია 1 450 000 ლარი.

სოფელში-ბოხვაურში, ბაილეთში, გურიანთაში, დვაბზუში, ვაკიჯვარში, კონჭკათში, ლიხაურში, მაკვანეთში, ნარუჯაში, ნასაკირალში, ნატანებში, სილაურში, ურეკში, შემოქმედში, შრომაში, ცხემლისხიდში, ძიმითში, ჭანიეთში, ნაგომარსა და ბახვში განხორციელდა აჯებრების აღდგენა, ბეტონის გზების მოწყობა, გაბიონების მოწყობა და კალაპოტების გასწორხაზოვნება, ხიდების აღდგენა და მილხიდების მოწყობა, არხების გაწმენდა.

დღეისათვის დასრულებულია ყველა ხელშეკრულება. შესრულებულია **1 402804** ლარის სამუშაო.

2015 წლის 3 ოქტომბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2195 განკარგულებით გამოყოფილია **681 923** ლარი.

ამ განკარგულების ფარგლებში მოხდა 34 კორპუსის, ბიბლიოთეკის, ბადის, ამბულატორიის სახურავების შეკეთება (სულ 17400 კვ.მ) ლაითურსა და ნარუჯაში, მოეწყო 3 მონაკვეთზე ბეტონის გზა (160 გრძ.მ) და 2 მონაკვეთზე (185 გრძ.მ) სანიაღვრე არხი, 21 მოსახლეზე დარიგდა სამშენებლო მასალები შემდეგ დაბებსა და სოფლებში: ლაითური, ნარუჯა, შემოქმედი, სილაური, ნაგომარი. სულ შესრულებულია **675 009** ლარის სამუშაო.

2015 წლის 11-12 ნოემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკარგულებით გამოყოფილია **250 000** ლარი.

ამ განკარგულების ფარგლებში მოხდა 19 კერძო სახლის სახურავების შეკეთება დაბეჭდა და სოფლებში ლიხაური, ბახვი, დვაბზუ, მთისპირი, ძიმითი, მაკვანეთი, მერია, ლაითური, გურიანთა, სოფ.ოზურგეთი, ნაგომარი, შემოქმედი, ჯუმათი, კონჭკათი. გადაიხურა 1 ადმინისტრაციული შენობა და 2 კორპუსი ლიხაურში. გარდა ამისა მოეწყო 800 მეტრი გზა სოფ.შრომაში. სულ შესრულდა **218 790** ლარის სამუშაო.

2015 წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დამეწყრილი მოსახლეობის მდგომარეობის შეფასების მიზნით მოწვეულ იქნა სპეციალისტები გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან. შესწავლის იქნა 170 ოჯახის მდგომარეობა. მათზე შეგროვდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ფოტომასალა და გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. მოხდა მათზე ქულების მინიჭება განსახლების მიზნით.

2015 წელს აღნიშნული სამინისტროს მიერ შეძენილ იქნა 4 საცხოვრებელი სახლი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება:

- შრომასა და ვაკიჯვარში მილხიდების რეაბილიტაცია-**24 370** ლარის ღირებულების.
- დაბა ურეკში გზის ოზრმული შეკეთება-**22 000** ლარის ღირებულების.
- სოფ.ჭანიეთში ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთება-**11 850** ლარის ღირებულების
- მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში სამუშაო ოთახების რემონტი-**8017** ლარის ღირებულების
- დასრულებულია მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ელ.ენერჯის გამხოლოების სამუშაოები-**2705** ლარის ღირებულების
- **138 324** ლარი დამატებით გამოიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან , ჭანიეთის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის
- სოფლებში -თხინვალში, მაკვანეთში, ნარუჯაში და ძიმითში ადგილობრივი გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია **18 300** ლარი. დღეისათვის მიმდინარეობს ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.
- **123 979** ლარი დამატებით გამოიყო მერიის უსახლკაროთა თავშესაფრის მშენებლობისათვის.
- **816** ლარი-ადმინისტრაციული შენობის წინ ფლაგმტოკის აღსამართად.
- **22824** ლარი-ურეკში საგზაო ნიშნების მოწყობა
- **4941** ლარი-შემოქმედის კვერის კეთილმოწყობა

- **8950 ლარი-** ქანიეთში, ბოხვაურსა და ცხემლისხიდში შენობის სარემონტო სამუშაოები .
- **49 999 ლარი-**ვაკიჯვარი-მთისპირის, სოფ.ოზურგეთი-გურიანთის, მაკვანეთის გზების პროექტირება
- **10 999 ლარი-**მელექედური-ნასაკირალი, ბოხვაური-შემოქმედის გზების პროექტირება
- **24 879 ლარი-**მთისპირში სანიაღვრე არხის მოწყობა, ნაუჯასა და შემოქმედში სახლის სახურავების მოწყობა
- **26 105 ლარი-**კონჭკათსა და შრომაში გზების მოწყობა
- **72 000 ლარი-**ლაითურის წყალმომარაგების პროექტირება
- **8000 ლარი-**ლიხაურის სარწყავი ნაგებობის, ძიმითის კულტურის სახლის, სოფ.ოზურგეთის ს.ბაღის ეზოს კეთილმოწყობის პროექტები
- **9998 ლარი-**ნაგომრისა და გაღმა დვაბზუ-ბახვის გზების პროექტირება
- **122 300 ლარი-**67 ოჯახს დაურიგდა სამშენებლო მასალები
- **9416 ლარი-**ოჯახებს დაურიგდა სამშენებლო მასალები

2. ქონების მართვის განყოფილება

- ქონების მართვის განყოფილების მიერ 2015 წელს მომზადდა 125 ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია უძრავი ქონების მუნიციპალურ ქონებად დასარეგისტრირებლად, აქედან დარეგისტრირდა 108 ობიექტი მ.შ. 83 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ხოლო 25 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.
- მომზადდა და ჩატარდა შვიდი აუქციონი, რის შედეგად გასხვისდა 55 უძრავ-მომრავი ქონება, გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 381279 ლარი.
- განყოფილება ახდენს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ხეების მონიტორინგს. ზეხმელი და დაზიანებული ხეების მოჭრისათვის მოსაკრებლის სახით შემოსულია 6046 ლარი. ხოლო სტიქიით დაზიანებული ხეებისაგან მასალის დასამზადებაზე მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია ტენდერის მოსამზადებლად.

3. არქიტექტურის განყოფილება

- არქიტექტურის განყოფილების მიერ 2015 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 102 ნებარვა;
 აქედან:
 საცხოვრებელი სახლი -8
 სავაჭრო და კომერციული დანიშნულების ობიექტი-7
 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი-4

სააგარაკო, დასასვენებელი და სასტუმრო სახლი-74
ჯან.დაცვის ობიექტი (სტომატოლოგიური კლინიკა)-1
გაზმომარაგების ქსელის მშენებლობა-3
სხვადასხვა ობიექტი-5

- 74 შეთანხმება მშენებლობის წარმოებაზე;
აქედან:
სააგარაკო, სასტუმრო და საცხოვრებელი სახლი-18
საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მშენებლობა-16
დროებითი სავაჭრო ფართი-21
საცურაო აუზი-2
სატელეფონო კომუნიკაციების მსენებლობა-5
და სხვა -12
- მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელის სახით შემოსულია 136 057 ლარი.

სამსახურის უფროსი:

გ. აბაშმაძე